ოქმი:**ო63.6322145001**
თარიღი:**25/05/2022**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულო

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 6

2022 წელი

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 6

სამტრედიის მუნიციპალიტეტი 24 მაისი 2022 წელი

საკრებულოს შენობა

სამტრედია რესპუბლიკის ქ. N6

მიმდინარე წლის 24 მაისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ცომაიას თავმჯდომარეობით.

სხდომას ესწრებოდა: ტ. ცომაია, ჯ. ახობაძე (ონლაინ ჩაერთო), პ. კოხრეიძე, გ. ჯულაყიძე ვ. ფოცხვერია, დ. ჯანელიძე (ონლაინ ჩაერთო) , ა. თადუმაძე, ვ. სტურუა,

არ ესწრებოდა : ე. შუბლაძე, ქ. კუტალაძე, მ. სირბილაძე, გ. გაგუა.

მოწვეული სტუმარი : სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ოთარ ფხაკაძე, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში : სოფ. ბაშში - ჩხეიძე თამილა, სოფ. საჯავახოში - თენგიზ ქორიძე, სოფ. გომში - ზაზა ნიკოლეიშვილი, სოფ. ტოლებში - გივი სიხარულიძე, სოფ. ჯიხაიშში - ლეჟავა ალექსანდრე, დაბა კულაშში - ვლადიმირ სოხანეიშვილი, სოფ. ღანირში - ლეილა ოდილავაძე, სოფ.

ეწერში - გრიგოლ დარჯანია, სოფ. გორმაღალში - ხათუნა ლებანიძე, სოფ. მელაურში - სოფიკო კიკაჩიშვილი, სოფ. ნაბაკევში - ნანა შენგელია.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომართვა N 04-6322136001-63 13. 05. 2022 წ.

/მომხსენებელი: ტ. ცომაია/

2. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომის წევრთა 8 ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ცომაიამ კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომართვა N 04-6322136001-63 13. 05. 2022 წ.

კერძოდ : საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 9 აგვისტოს №36 ბრძანების შესაბამისად, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომ - „სააგენტო“) აწარმოებს მუნიციპალიტეტების რეესტრს. მუნიციპალიტეტების რეესტრი მუნიციპალიტეტების შესახებ მონაცემთა ერთიანი აღნუსხვის მიზნით შექმნილი სისტემური ერთობლიობაა. მუნიციპალიტეტების რეესტრში აისახება როგორც მუნიციპალიტეტის დასახელება, ასევე, თვითმმართველ თემში შემავალი დასახლებების დასახელებები (თითოეული დასახლების კატეგორიის მითითებით); თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრის დასახელება, მუნიციპალიტეტის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი და რეგისტრაციის საიდენტიფიკაციო ნომერი, ასევე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა. მუნიციპალიტეტის სქემატური რუკა შედგენილი უნდა იყოს 1:100 000 მასშტაბის შესაბამისად და მასზე, სულ მცირე, დატანილი უნდა იყოს თვითმმართველ თემში შემავალი დასახლებები და სხვა ძირითადი გეოგრაფიული ობიექტები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, „მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული არის დასახლება, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა“. დასახლების კატეგორიებია: სოფელი, დაბა და ქალაქი. მუნიციპალიტეტების რეესტრში სააგენტო მონაცემებს ასახავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერის ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთოდეს „მუნიციპალიტეტების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 9 აგვისტოს №36 ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყნის ადმინისტრირების, ტერიტორიის მართვის, სხვადასხვა სახელმწიფო სერვისის მიწოდებისთვის ზემოაღნიშნული ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია. ადმინისტრაციულ საზღვრებთან დაკავშირებით ინფორმაციის არარსებობა აფერხებს მოქალაქეთა მომსახურებას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, როგორც ცენტრალურ, ასევე, მუნიციპალურ დონეზე, გადაწყვეტილების მიღებისას წარმოშობს ბუნდოვანებას. დღეის მდგომარეობით, დასახლებების ადმინისტრაციული საზღვრების თაობაზე მუნიციპალიტეტებს არ წარმოუდგენიათ

ინფორმაცია სააგენტოსთვის, რაც ასევე აფერხებს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრისა და სამისამართო რეესტრის წარმოებას. ზემოაღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის, სააგენტოს მიერ წარმოებული რეესტრების ურთიერთ შესაბამისობისა და სისრულის უზრუნველყოფის, საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის მიზნით, სააგენტომ მოიძია სხვადასხვა დროს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მისთვის მიწოდებული და მასთან დაცული ყველა სახის ინფორმაცია, რის საფუძველზეც იდენტიფიცირდა, გაანალიზდა და შეჯამდა დასახლებების საზღვრების შესახებ სააგენტოში დაცული მონაცემები. კერძოდ, დასახლებების საზღვრების იდენტიფიცირების მიზნით, დამუშავდა:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული ადმინისტრაციული საზღვრების მონაცემები (იმ დასახლებებისთვის, რომლებთან დაკავშირებით არსებობს შესაბამისი სამართლებრივი აქტი);

ბ) საქართველოს სახელმწიფო გეოდეზიურ-კარტოგრაფიული ფონდის მასალები და მონაცემები, რომლებიც შექმნილია გეოდეზიური, კარტოგრაფიული, ტოპოგრაფიული, გრავიმეტრიული საქმიანობის და აეროგადაღების შედეგად. ფონდი შეიცავს მუნიციპალიტეტებში შემავალი დასახლებების შესახებ სხვადასხვა წლებში შედგენილ დოკუმენტაციას (მათ შორის დასახლებების შექმნის, გაუქმების, სახელწოდების ცვლილების და სხვა), 1:100 000 მასშტაბის მორიგე საცნობარო ტოპოგრაფიულ რუკებს (1942-1990 წლების გამოცემები), რომლებზეც 1949 წლიდან მოყოლებული 90-იანი წლების ჩათვლით, გრაფიკული სახით, ასახულია ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ ცვლილებების თაობაზე ინფორმაცია შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთებით;

გ) უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში სარეგისტრაციო მიზნებისთვის შექმნილი საკადასტრო ზონირება, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა პროექტის ფარგლებში (მათ შორის, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის № 327 ბრძანებულების ფარგლებში) მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით დამუშავებულ გეოგრაფიულ მონაცემებს; დ) სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს სივრცითი ინფორმაციის ცენტრიდან 2010 წელს სააგენტოსთვის გადმოცემული არქივი, რომელიც შეიცავს ყოფილი კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მიწათსარგებლობის გეგმებისა და თანდართული დოკუმენტაციის ერთობლიობას. მათი უდიდესი ნაწილი შედგენილია 1992 წლამდე. აღნიშნული გეგმები მომზადებულია 1:5 000, 1:10 000 და 1:25 000 მასშტაბში და ასახავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, არასასოფლოსამეურნეო ტერიტორიების, ტყის მასივებისა და სხვა ტოპოგრაფიულ ელემენტებს;

ე) სამისამართო რეესტრის არქივში დაცული, სხვადასხვა პერიოდის სამართლებრივი აქტები და რუკები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებები გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ, ნომრის მინიჭების გადაწყვეტილებები და სხვა.

ვ) უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ფიზიკური და იურიდიული პირების უფლების დამდგენი დოკუმენტაციის საფუძველზე აღრიცხული მონაცემები უძრავი ნივთების მისამართების შესახებ.

რაც შეეხება თვითონ მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებს, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით წარმოდგენილია შემდგომი

ადინისტრაციული ერთეულები:

ადმინისტრაციული ერთეული სამტრედია

ქალაქი სამტრედია,

ადმინისტრაციული ერთეული კულაში

დაბა კულაში,

ადმინისტრაციული ერთეული დიდი ჯიხაიში

სოფელი დიდი ჯიხაიში,

ადმინისტრაციული ერთეული იანეთი

სოფელი იანეთი,

ადმინისტრაციული ერთეული ბაში

სოფელი ბაში,

ადმინისტრაციული ერთეული გორმაღალი

სოფელი გორმაღალი,

ადმინისტრაციული ერთეული გამოჩინებული

სოფელი გამოჩინებული,

ადმინისტრაციული ერთეული ეწერი

სოფელი ახალსოფელი, სოფელი გვიმრალა, სოფელი კეჭინარი, სოფელი ოჭოფა, სოფელი პატარა ეწერი, სოფელი ჯიქთუბანი,

ადმინისტრაციული ერთეული მელაური

სოფელი მელაური, სოფელი მიწაბოგირა, სოფელი ხიბლარი,

ადმინისტრაციული ერთეული ღანირი

სოფელი ღანირი, სოფელი ჭაგანი,

ადმინისტრაციული ერთეული ნაბაკევი

სოფელი კვირიკე, სოფელი ნაბაკევი, სოფელი ნინუაკუთხე, სოფელი ჩხენიში, სოფელი ხუნჯულაური,

ადმინისტრაციული ერთეული გომი

სოფელი გომმუხაყრუა, სოფელი გომნატეხები, სოფელი დაბლა გომი, სოფელი დაბლა ეწერი, სოფელი დაფნარი, სოფელი დობირო, სოფელი ზედა ეწერი, სოფელი კეთილაური, სოფელი კორმაღალი, სოფელი მთის ძირი, სოფელი ცივწყალა,

ადმინისტრაციული ერთეული საჯავახო

სოფელი ნიგორზღვა, სოფელი საჯავახო, სოფელი ჭოგნარი,

ადმინისტრაციული ერთეული ოფეთი

სოფელი დიდი ოფეთი, სოფელი მტერჩვეული, სოფელი ნაწილი ოფეთი, სოფელი პატარა ოფეთი, სოფელი წიაღუბანითხილაგანი,

ადმინისტრაციული ერთეული ტოლები

სოფელი ბუღნარა, სოფელი ვაზისუბანი, სოფელი ზემო ნოღა, სოფელი ზემო ტოლები, სოფელი ტოლები, სოფელი ქვემო ნოღა, სოფელი ქორეისუბანი,

ამ მომართვიდან გამომდინარე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ითხოვს , რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტმა მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების საზღვრების თაობაზე ინფორმაცია გადაამოწმოს და არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა მიაწოდოს თანხმობა ან დასაბუთებული შენიშვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ აღნიშნული საკითხი ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებთან და მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად გულდასმით შეისწავლა და გამოარკვია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დანართის სახით გადმოგზავნილი სამტრედიის მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების საზღვრების დამუშავებული მონაცემები არ შეესაბამება რეალობას, კერძოდ სოფელი დიდი ჯიხაიში -ს და სოფ იანეთის ნაწილი მოხვედრილია წყალტუბოს ტერიტორიაზე, ასევე გაურკვეველია სოფ. გომთან საზღვრები.

ასევე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც დაარსების დღიდან სამტრედიის მუნიპალიტეტის ტერიტორიაზე იყო, მთლიანად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხვედრილი, იმ დროს როცა სამტრედიის ადმინისტრაციული ცედნტრიდან აეროპორტამდე 9 კილომეტრია, ხოლო წყალტუბოს ადმინისტრაციული ცენტრიდან 30 კილომეტრამდე, გაურკვეველია თუ როგორ და რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საზღვრების დადგენის დროს.

ასევე დანართის სახით მოწერილ „ამონაწერი მუნიციპალიტეტების რეესტრიდან“ გორმაღლის ადმინისტრაციულ ერთეულში არის მხოლოდ სოფელი გორმაღალი, ისტორიულად კი აქ მუდამ ორი სოფელი იყო, სოფელი გორმაღალი და სოფელი ქვაყუდე.

ასევე გამოჩინებულის ადმინისტრაციული ერთეული, ამოვარდნილია ორი ისტრორიული სოფელი ზემო აბაშა და ქვემო აბაშა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ ეთანხმება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დასახლებების საზღვრების დამუშავებულ მონაცემებს და ითხოვს საკითხის საჯარო რეესტრთან ერთობლივ და სკულპიოზურ შესწავლას.

სოფელი კვირიკე, სოფელი ნაბაკევი, სოფელი ნინუაკუთხე, სოფელი ჩხენიში, სოფელი ხუნჯულაური, ადმინისტრაციული ერთეული გომი სოფელი გომმუხაყრუა, სოფელი გომნატეხები, სოფელი დაბლა გომი, სოფელი დაბლა ეწერი, სოფელი დაფნარი, სოფელი დობირო, სოფელი ზედა ეწერი, სოფელი კეთილაური, სოფელი კორმაღალი, სოფელი მთის ძირი, სოფელი ცივწყალა,

ადმინისტრაციული ერთეული საჯავახო სოფელი ნიგორზღვა, სოფელი საჯავახო, სოფელი ჭოგნარი, ადმინისტრაციული ერთეული ოფეთი სოფელი დიდი ოფეთი, სოფელი მტერჩვეული, სოფელი ნაწილი ოფეთი, სოფელი პატარა ოფეთი, სოფელი წიაღუბანითხილაგანი, ადმინისტრაციული ერთეული ტოლები სოფელი ბუღნარა, სოფელი ვაზისუბანი, სოფელი ზემო ნოღა, სოფელი ზემო ტოლები, სოფელი ტოლები, სოფელი ქვემო ნოღა, სოფელი ქორეისუბანი, გადაწყვეტილება, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დასახლებების საზღვრების დამუშავებული მონაცემები არასწორია და თავიდან არის შესასწავლი. ასვე კომისიამ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს დაავალა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე დაადგინონ როგორც სოფლებს შორის არსებული საზღვარი, ასევე მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებთან არსებული საზღვარი.

დაადგინეს: კომისიამ 8 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეწეროს წერილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დასახლებების საზღვრების დამუშავებული არასწორი მონაცემების შესახებ და გამოთქვას მზადყოფნა საკითხის ერთობლივად შესწავლისათვის.

ტარიელ ცომაია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი